ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

1 – 14 მაისი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

საკანონმდებლო ცვლილებები შვედეთში

შვედეთის პარლამენტმა 268 ხმით მხარი დაუჭირა 2023 წლის თებერვალში ინიცირებულ ანტიტერორისტულ კანონს, რომლის თანახმადაც ტერორისტული ორგანიზაციის საქმიანობაში ნებისმიერი სახით მონაწილეობა სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება.

04.05.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ჩრდილოეთ ერაყში

თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია ავრცელებს ინფორმაციას ჩრდილოეთ ერაყში, გარას რეგიონში, ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ტერორისტულ ორგანიზაცია ქურთების მუშათა პარტიის საველე მეთაურის, აჰმეტ გუმუსის (ასევე ცნობილი როგორც, „ენგიზეკი“) ლიკვიდაციის შესახებ.

05.05.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ნაბლუსში

ისრაელის თავდაცვის ძალების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, ნაბლუსში ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებულია ტერორისტული ორგანიზაცია „ჰამასის“ 3 ტერორისტი. უსაფრთხოების სამსახურის განმარტებით, აღნიშნული პირები პასუხისმგებელი იყვნენ გაერთიანებული სამეფოს 3 მოქალაქის, ლუსი, რინა და მაია დიების მკვლელობაში.

05.05.2023

თავდასხმა ისრაელის თავდაცვის ძალების ოფიცერზე

ჰუვარას ქუჩის პატრულირებისას, ისრაელის თავდაცვის ძალების ოფიცერზე ცივი იარაღით განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის დროს, თავდამსხმელი, იმან ზიად ოდე დაიღუპა. მომხდარიდან რამდენიმე საათის შემდეგ, გარდაცვლილის დაკრძალვის დროს, ვითარება კვლავ დაიძაბა ისრაელის თავდაცვის ძალებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის.

06.03.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ნიგერიაში

ნიგერიის ეროვნულმა არმიამ გაავრცელა ინფორმაცია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ, ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად ტერორისტულ ორგანიზაციებთან, ბოკო ჰარამთან და დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინციასთან, დაკავშირებული 79 მებრძოლის ლიკვიდაციის და 136 ტყვის გათავისუფლების შესახებ.

04.05.2023

ინციდენტი სამბისას ტყეში

ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინციის მებრძოლები გალმასკუს სოფლისკენ თავდასხმის განხორციელების მიზნით, მანქანით გადაადგილებისას მომხდარი ავარიის დროს დაიღუპნენ. ინფორმაციას მომხდარის შესახებ, ნიგერიის ეროვნული არმიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ადასტურებს.

05.05.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ბარირში

სომალის ეროვნული უსაფრთხოების და სადაზვერვო სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დანაბეს ბრიგადების მიერ ბარირთან ახლოს ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, უსაფრთხოების სამსახურმა წარმატებით გაანეიტრალა ალ შაბაბთან დაკავშირებული 10 უცხოელი ტერორისტი მებრძოლი.

06.05.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ჯამუ და ქაშმირში

კონტროლის ხაზთან, კუპუარას რეგიონში, ქაშმირის რეგიონულ პოლიციას და შეიარაღებულ ტერორისტ მებრძოლებს შორის მომხდარი ორმხრივი სროლის შედეგად დაიღუპა 2 თავდამსხმელი. ქაშმირის საპატრულო სამსახურის განმარტებით, აღნიშნული პირების ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირის დადგენის მიზნით, მიმდინარეობს საგამოძიებო სამუშაოები.

06.05.2023

საგამოძიებო სამუშაოები მუჰამედ ჩიპას საქმესთან დაკავშირებით

33 წლის სპრინგფილდელი მამაკაცის, მუჰამედ ჩიპას საგამოძიებო სამუშაოების ფარგლებში სამართალდამცავი უწყებები ავრცელებენ ინფორმაციას, ბრალდებულის ახლო ურთიერთობის შესახებ, ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის თვითგამოცხადებულ „იმპერატორთან“, ელისონ ფლუკ-ეკლერთან, რომელიც სხვადასხვა დროს ტერორისტული ორგანიზაციის 100-ქალიან სამხედრო დაჯგუფებას წვრთნიდა და მართავდა.

10.05.2023

ახალი კონტრტერორისტული რეზოლუცია შვედეთში

10 მაისის საპარლამენტო სხდომაზე, შვედეთის და ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის, ჰაბიბ ჩაბის სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით,

მხარი დაუჭირა ირანის რევოლუციური გვარდიის კორპუსის ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებას.

10.05.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია გერმანიაში

გერმანიის უსაფრთხოების სამსახურები ინფორმაციას ავრცელებენ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში, ტერორისტულ ორგანიზაცია ჰეზბოლასთან დაკავშირებული დაჯგუფება, ალ მუსტაფას საზოგადოების ორი წევრის, ლიბანის მოქალაქე ჰასან მ.-ის და გერმანიისა და ლიბანის მოქალაქე აბდულ-ლატიფ ვ.-ის დაკავების შესახებ. უსაფრთხოების სამსახურებზე დაყრდნობით, აღნიშნული პირები ტერორისტულ ორგანიზაციას ფინანსურ დახმარებას უწევდნენ.

13.05.2023

ეროვნული ასამბლეის კანონი ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებული დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ

გასულ კვირას საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის სხდომაზე წარდგენილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჟერალდ დარმანინმა 9 მაისს, ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ სამხედრო ულტრანაციონალისტი, სებასტიან დეზოს პატივის მისაგებად განხორციელებულ შეკრებას მიუღებელი უწოდა. დერმანინის განცხადებით, მომავალში, მსგავსი დემონსტრაციები პოლიციის ნებართვით აღარ გაიმართება, ხოლო ორგანიზატორებს ნებართვის აღების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვა მოუწევთ.

13.05.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია სირიაში

თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაცია ინფორმაციას ავრცელებს გასულ კვირას სირიის ტერიტორიაზე ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის 4 მაღალი რანგის წარმომადგენლის დაკავების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულ პირებს შორის, დაეშის თურქეთის პროვინციის ლიდერი, შაჰაფ ვარიჰია.

11.05.2023

ტერორისტული თავდასხმა დამასკოში

დამასკოში საპატრულო სამსახურის დეპარტამენტის შენობაზე ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული მანქანით განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა ორგანიზაცია დაეშმა აიღო.

თავდასხმის შედეგად დაიღუპა 1 ლეიტენანტი და მძიმედ დაშავდა საპატრულო სამსახურის 4 თანამშრომელი.

12.05.2023

სამხედრო ესკალაცია ისრაელის საზღვართან

ისრაელის თავდაცვის ძალების მიერ გასულ კვირას ღაზას სექტორის საზღვართან პალესტინური სამხედრო მოძრაობების წინააღმდეგ განხორციელებული წერტილოვანი საჰაერო დარტყმების ფარგლებში, 3 სამხედრო ლიდერის და 10 პალესტინელი მამაკაცის გარდაცვალების შედეგად ვითარება მხარეებს შორის საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა.

11.05.2023

ტერორისტული თავდასხმა ქალაქ კიტაში

მალის დედაქალაქ ბამაკოდან 80 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ კიტაში განხორციელებული ტერორისტულ თავდასხმის შედეგად გარდაიცვალა 6 და მძიმედ დაშავდა 9 სამხედრო. კიტას მაცხოვრებლების განმარტებით, თავდასხმა ტერორისტულ ორგანიზაცია ალ კაიდასთან დაკავშირებულმა მებრძოლებმა განახორციელეს.

13.05.2023